ხელშეკრულება №2018/84
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ბათუმი **08 ივნისი 2018 წელი**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველ ორგანიზაციად", წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, მერაბ ჯოჯუას სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ნიუტეჩ"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის, მზია შარაბიძის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის წესით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი ორგანიზაცია" – პირი (ორგანიზაცია), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი)

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საჭიროებისათვის ადმინისტრაციულ და აპარატის შენობაში ბარიერის (ტურნიკეტი) დამონტაჟებასთან დაკავშირებული, დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (CPV – 313 000 00; 443 000 00; 511 000 00).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1019.50 (ერთიათას ცხრამეტი ლარი და 50 თეთრი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, შემოსავლების სამსახურიდან შესაბამისი ცნობის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

4.3. დაფინანსების წყარო: 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

მუხლი 5. მიღება-ჩაბარების წესი და გარანტია

5.1. გაწეული მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით დადასტურებული მომსახურების გაწევის აქტებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები

6.1. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. N8/10 და მემედ აბაშიძის ქ. N16-18.

6.2. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 2018 წლის 25 ივნისის ჩათვლით.

მუხლი 7. მხარეთა ვალდებულებები და უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:**

ა) მოითხოვოს მიმწოდებლისგან მომსახურების გაწევა სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;

ბ) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება;

გ) მომსახურების გაწევის დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. **შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების პროცესს;

7.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

ა) მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და ადგილას გაუწიოს შემსყიდველ ორგანიზაციას მომსახურება.

მუხლი 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსი - ზვიად ჭრიკიშვილი და ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი - თამაზ აბუსელიძე.

8.3. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების (გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და ვალდებულების შესრულების ვადების) კონტროლს.

8.4. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ოვლისის ჩათვლით.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. აქედან 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო 2 (ორი) – შემსყიდველ ორგანიზაციას. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება განხორციელდება წერილობით და ძალაშია ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერის შემდეგ.

14.4. დანართი N1 თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველის რეკვიზიტები:

სახელწოდება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას 8-10
საიდენტიფიკაციო ნომერი: 203840175
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022
ტელეფონის ნომერი: 27 66 49

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე: მერაბ ჯოჯუა

მიმწოდებლის რეკვიზიტები:

მიმწოდებელი: შპს „ნიუტეჩ“
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. N94
საიდენტიფიკაციო კოდი: 445 515 602
მომსახურე ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE11 BG00 0000 0644 0034 00
ტელ. ნომერი: 599 57 50 21; 558 910 101

შპს „ნიუტეჩ“-ის დირექტორი: მზია შარაბიძე

ხელშეკრულება N2018/84

08 ივნისი 2018 წელი

დანართი N1

N	საქონლისა და მომსახურების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	CPV კოდი
1	კაბელი CAT5E	მეტრი	150	0,68	102,00	313 212 00
2	დენის კაბელი 3X2.5mm²	მეტრი	150	1,68	252,00	313 212 00
3	სიგნალიზაციის კაბელი	მეტრი	60	0,55	33,00	313 212 00
4	ელ. სადენის არხი თვითწებადი	მეტრი	50	1,45	72,50	443 223 00
5	ტურნიკეტის მონტაჟი	ცალი	2	280,00	560,00	511 100 00
					387,00	313 000 00
					72,50	443 000 00
					560,00	511 000 00
	ჯამი:				1019,50	

შპს „ნიუტეჩ“-ის დირექტორი: მზია შარაბიძე

LIMITED LIABILITY COMPANY NEWTECH 445515602

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2018 წლის 08 ივნისი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად ვადასტურებ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საჭიროებისათვის ადმინისტრაციულ და აპარატის შენობაში ბარიერის (ტურნიკეტი) დამონტაჟებასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, შპს „ნიუტეჩ“-თან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე

მერაბ ჯოჯუა